

დამტკიცებულია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის

რექტორის 2018 წლის 01 აგვისტო № 2/74 ბრძანებით

ცვლილებები შესულია რექტორის 2019 წლის 07 მარტის № 2/27
ბრძანებით



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაციის ტექნოლოგია

პროგრამის ხელმძღვანელი: ლიანა კერვალიშვილი; მიხეილ მღებრიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

მისამართი: თბილისი, წერონისის ქ. 208

ტელ: 2 24 95 57; 593 30 32 11

www.bta.edu.ge email: btaedu@yahoo.com

თბილისი 2019 წ

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 06112-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.

4. მიზანი: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის მიზანია, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.
 - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
 - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

7. სტრუქტურა და მოდულები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი. რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

„მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენა A2 15 კრედიტი

ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 60 კრედიტი ,სწავლის ხანგრძლივობა 11 სასწავლო თვე
არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 75 კრედიტი , სწავლის ხანგრძლივობა 14 სასწავლო თვე

ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
ზოგადი მოდულები		
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	მეწარმეობა 1	2
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
პროფესიული მოდულები		
6	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	1
7	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	6
8	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	6
		60

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;

5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა . მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმხორციელებელი პირები. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა, შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამოხატულობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში შეფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული/ მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1. სასწავლო გეგმა **დანართი 1**
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი **დანართი 2**
3. ინფორმაციული წიგნიერება **1 დანართი 3**

4. ინტერპერსონალური კომუნიკაცია **დანართი 4**
5. რაოდენობრივი წიგნიერება **დანართი 5**
6. მეწარმეობა 1 **დანართი 6**
7. სამოქალაქო განათლება **დანართი 7**
8. უცხოური ენა - ინგლისური **დანართი 8**
9. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა **დანართი 9**
10. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა **დანართი 10**
11. კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები **დანართი 11**
12. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა **დანართი 12**
13. მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები **დანართი 13**
14. გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში **დანართი 14**
15. პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში **დანართი 15**
16. დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support **დანართი 16**
17. ქართული ენა A2 **დანართი 17**
18. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი **დანართი 18**

სასწავლო გეგმა

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

N	კრედიტი	მოდული	სასწავლო კვირა											სულ	საკონტაქტო	დამოუკიდებელი მენეჯინგობა	შეფასება	წინაპირობები	
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11						
1	15	ქართული ენა A2	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	30	30	375	283	80	12	საბაზო განათლება
სულ	30		35	35	35	35	35	35	35	35	35	30	30	375	283	80	12		

შენიშვნა: „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დანართი 2

#	მოდული	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	ლიანა კერვალიშვილი	ავტომატიკა ტელემექანიკა ინჟინრის კვალიფიკაცია	
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგის კვალიფიკაცია	
3.	მეწარმეობა 1	მაია პაპიაშვილი ნინო რაჟამაშვილი	უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი	
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	ლელა დეკანოიძე	ფიზიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია	
5.	სამოქალაქო განათლება	ლალი ვაშაგაშვილი	იურისტის კვალიფიკაცია	
6.	უცხოური ენა -ინგლისური	მაია ცუკილაშვილი	ფილოლოგის (ინგლისური და იტალიური ენები და ლიტერატურა) კვალიფიკაცია	
7.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი	მიხეილ მღებრიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული ენის	

		გიორგი მუნჯიშვილი	მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/	
8.	პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	მიხეილ მღებრიშვილი ლიანა კერვალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ ავტომატიკა ტელემექანიკა ინჟინრის კვალიფიკაცია	
9.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	ლია ჯელია მიხეილ მღებრიშვილი	ფილოლოგი (ინგლისური ენაში) კვალიფიკაცია საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება	
10.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	მიხეილ მღებრიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება	
11.	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	მიხეილ მღებრიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის	

			კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება	
12.	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	ლიანა კერვალიშვილი გიორგი მუნჯიშვილი	ავტომატიკა ტელემექანიკა ინჟინრის კვალიფიკაცია ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/	
13.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	მიხეილ მღებრიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება	
14.	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	მიხეილ მღებრიშვილი კარლო კვიჩინაძე	საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია / 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება ინფორმატიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი	
15.	ქართული ენა A2	ბელა მინდელი	ფილოლოგის კვალიფიკაცია	